საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის

ბრძანება №53

2018 წლის 22 თებერვალი

ქ. თბილისი

„საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში სახელმწიფო სპეციალური წოდებების მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 30 ივნისის №65 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში სახელმწიფო სპეციალური წოდებების მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 30 ივნისის №65 ბრძანებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 30/06/2015, 010320030.22.038.016480) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული წესის დანართი №6-ის:

ა) „ა“ პუნქტის მე-5 ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 ქვეპუნქტი:

„5^1. პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის მრჩეველი – იუსტიციის ვიცე-პოლკოვნიკი;“;

ბ) „ბ“ პუნქტის მე-12 ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-13 და მე-14 ქვეპუნქტები:

„13. პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციული ასისტენტი – იუსტიციის კაპიტანი;

14. ინსპექტორი-მძღოლი – იუსტიციის კაპიტანი.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა
და პრობაციის მინისტრი **კახა კახიშვილი**